ISSN 1512-1801

განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმა და პრობლემები მასწავლებლის მომზადების პროცესში

ირმა ქურდაძე, მარინა ბალასანიანი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ანოტაცია

განათლების სისტემის რეფორმის პროცესში ეფექტურობას განსაზღვრავს მასში მოღვაწე პედაგოგიური პოტენციალი-თავისი ცოდნით, უნარებითა და პიროვნული თვისებებით. აუცილებელი ხდება მისი შევსება, განახლება და სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა უწყვეტი პედაგოგიური განათლების აუცილებლობა.

განათლების სფეროში ინოვაციური პროცესების გავრცელება თანამედროვე ეტაპზე განაპირობებს კულტურის, სწავლების მთლიანად საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე პროცესებს. დღის წესრიგში დგება სფეროს განახლების აუცილებლობა, მისი ორგანიზაციის, მეთოდოლოგისა და ტექნოლოგიების ახალ დონეზე წარმართავ და ამისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალება არის თავად განათლების სისტემაში მასში მოღვაწე მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობაში აღმოცენებული ინოვაციები, მათი მოძიება, განზოგადება და დანერგვა.

ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადება თანამედროვე სტანდარტებით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საფუძვლიანი ცოდნა და განზოგადება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ძირითადი ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რომელთა დაცვა მოეთხოვენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა მასწავლებელს. სტანდარტში თავმოყრილია ზოგადპროფესიული და საგნობრივი ნაწილები. პირველი მათგანი მოიცავს იმ საკითხებს, რომელთა ცოდნა ნებისმიერი საგნის მასწავლებელს მოეთხოვება: ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, სწავლებისა და შეფასების ძირითადი მეთოდები, სასწავლო და პროფესიული გარემო და ა.შ. საგნობრივად სტანდარტები კი ასახავს, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები მოეთხოვება კონკრეტული საგნის მასწავლებელს იმისათვის, რომ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგებისთვის

აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია პედაგოგიური პროგნოსტიკის ამოცანების და მეთოდების ცოდნაც, რადგან პედაგოგიური პროცესის წარმატებული რეალიზაციისათვის მასწავლებელმა აუცილებელად უნდა გაისიგრძეგანოს პედაგოგიური პროგნოსტიკის ამოცანები და მეთოდები - იმისათვის, რომ მისი პედაგოგიური საქმიანობა იყოს უფრო წარმატებული, და ეფექტური.

აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგიკის ახალი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია პედაგოგიური ობიექტების და მოვლენების განვითარების წინასწარ დაგეგმვასთან და პროგნოზირებასთან, მოითხოვს მეცნიერული

ISSN 1512-1801

მეთოდების ცოდნას და ეფექტურ გამოყენებას შესაბამისი ამოცანის გადასაწყვეტად.

ამ პრობლემათა გადაჭრის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებას ბაკალავრიატის დონეზე კარგად ორგანიზებული პედაგოგიური პრაქტიკა წარმოასგენს.

საკვანძო სიტყვები: უწყვეტი პედაგოგიური განათლება, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, პედაგოგიური პროგნოსტიკის ამოცანები, მეთოდები, *პედაგოგიური პრაქტიკა*

შრომის ბაზარზე სოციალურ-ეკონომიკური სიახლეები ახალ მოთხოვნებს აყენებს ყველა დარგისა და თითოეული სპეციალისტის წინაშე.

განსაკუთრებულია ამ თვალსაზრისით განათლების სფერო და მასში მოღვაწე მასწავლებლის ცოდნის და უნარების სისტემატიური განახლების აუცილებლობა. განათლება დღეს აღარ არის მხოლოდ მიზანი და ამოცანა, მხოლოდ ახალგაზრდობის გარკვეული წრის პრივილეგია. იგი ასეთ პერმენტულ პროცესად იქცა, რომელიც ფაქტობრივად განაპირობებს პიროვნებისა და საერთოდ, საზოგადოების ხვედრს. თავად განათლების ბედს და წარმატებასაც კი.

როგორც ცნობილია, განათლების სისტემის რეფორმის პროცესში ეფექტურობას განსაზღვრავს მასში მოღვაწე პედაგოგიური პოტენციალი-თავისი ცოდნით, უნარებითა და პიროვნული თვისებებით. აუცილებელი ხდება მისი შევსება, განახლება და სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა უწყვეტი პედაგოგიური განათლების აუცილებლობა.

განათლების სფეროში ინოვაციური პროცესების გავრცელება თანამედროვე ეტაპზე განაპირობებს კულტურის, სწავლების მთლიანად საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე პროცესებს. დღის წესრიგში დგება სფეროს განახლების აუცილებლობა, მისი ორგანიზაციის, მეთოდოლოგისა და ტექნოლოგიების ახალ დონეზე წარმართავ და ამისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალება არის თავად განათლების სისტემაში მასში მოღვაწე მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობაში აღმოცენებული ინოვაციები, მათი მოძიება, განზოგადება და დანერგვა.

ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია

მასწავლებლის მომზადება თანამედროვე სტანდარტებით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საფუძვლიანი ცოდნა და განზოგადება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, ძირითადი ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რომელთა დაცვა მოეთხოვენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა მასწავლებელს. სტანდარტში თავმოყრილია ზოგადპროფესიული და საგნობრივი ნაწილები. პირველი მათგანი მოიცავს იმ საკითხებს, რომელთა ცოდნა ნებისმიერი საგნის მასწავლებელს მოეთხოვება: ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, სწავლებისა და შეფასების ძირითადი მეთოდები, სასწავლო და პროფესიული გარემო და ა.შ. საგნობრივად სტანდარტები კი ასახავს, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები მოეთხოვება კონკრეტული საგნის მასწავლებელს იმისათვის, რომ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგებისთვის მიაღწევინოს. თავის მხრივ საგნობრივი სტანდარტები მოიცავს საგნობრივ ცოდნასა და საგნის სწავლების მეთოდიკებს.

ISSN 1512-1801

მნიშვნელოვანია მის მიერ მოტივაციისა და კომუნიკაციის სწორი გააზრება, მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება საკუთარ პრაქტიკაში: აგრეთვე მოტივაციისა და კომუნიკაციის ამაღლების სტრატეგიებისა და მათი შესაძლო შედეგის ანალიზის ცოდნა სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციში; მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ იმის გააზრებაც, თუ როგორ უნდა გაუღვიძოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულებების მიმართ გაცნობიერებული დამოუკიდებლობა; ამ პროცესში ასევე საჭიროა მოსწავლეთა თავისებურებების საფუძვლიანი ცოდნა კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად.[4, 2]

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია პედაგოგიური პროგნოსტიკის ამოცანების და მეთოდების ცოდნაც, რადგან პედაგოგიური პროცესის წარმატებული რეალიზაციისათვის მასწავლებელმა აუცილებელად უნდა გაისიგრძეგანოს პედაგოგიური პროგნოსტიკის ამოცანები და მეთოდები - იმისათვის, რომ მისი პედაგოგიური საქმიანობა იყოს უფრო წარმატებული, და ეფექტური.

აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგიკის ახალი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია პედაგოგიური ობიექტების და მოვლენების განვითარების წინასწარ დაგეგმვასთან და პროგნოზირებასთან, მოითხოვს მეცნიერული მეთოდების ცოდნას და ეფექტურ გამოყენებას შესაბამისი ამოცანის გადასაწყვეტად.

ამ პრობლემათა გადაჭრის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებას ბაკალავრიატის დონეზე კარგად ორგანიზებული პედაგოგიური პრაქტიკა წარმოასგენს.[1,4]

აუცილებელია პედაგოგიური პრაქტიკის ისე მომზადება, რომ მან გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

ა) არსებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის, მასწავლებლის და მეთოდისტის სწორად შერჩევას;

ბ) პედაგოგიკის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მატერიალურ-ტექნიკური პიროვნების შქმნას;

გ) უმაღლესი სასწავლებლისა და საშუალო სკოლის შეთანხმებული მუშაობა მომავალ
მასწავლებელებში პროფესიული ინტერესების განვითარებისათვის;

დ) უმაღლეს სასწავლებლებში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების
თვალსაზრისით საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;[2,15]

ე) სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროსადმი, მათ შორის ერთი შეხედვით ნაკლებად
საინტერესო საქმისადმი (ჩამორაჩენილ მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობა, წრეობრივი, ინდივიდუალური, მასობრივი მუშაობა და ა.შ.);

ვ) ყველა პრაქტიკანტი-სტუდენტის დაინტერესება მასწავლებლის პროფესიით;

ზ) ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან, მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;

თ) სწავლებისა და აღზრდის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირების უნარის გამომუშავება;

ი) მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინების შსახებ ლექცია-სემინარებზე მიღებული ცოდნის ეფექტურობის შემოწმება;

ISSN 1512-1801

კ) მოსწავლეებთან ჯანსაღი დამოკიდებულება-ურთიერთობის დამყარება;

ლ) ზრუნვა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და შეგნებული დისციპლინის დამყარებისათვის და სხვა.

როგორც ვხედავთ, პედაგოგიური პრაქტიკის პროცესში მომავალმა მასწავლებელმა აღზარდოს და სწავლების თითქმის ყველა საკითხს უნდა მიაქციოს საჭირო ყურადღება.

მოკლედ დავახასიათოთ ჩვენს მიერ დასახული თოთოეული ამოცანა.

პედაგოგიური პრაქტიკის წარმატება დიდმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სკოლაში ტარდება პედაგოგიური პრაქტიკა. თუ სად და ვისთან ხდება მომავალ მასწავლებელთან ფორმირება. იმის გამო, რომ ზოგიერთი აღიარებული სკოლა მისი ხელმძღვანელები და მასწავლებლები გაურბიან მომავალ მასწავლებელთან მიღებებს სკოლაში პრაქტიკის გასავლელად, უმაღლესი პრაქტიკანტებთან მუშაობა შრომატევადია, ანაზღაურება კი მცირე. ეს სრულიად არ არის მეორეხარისხოვანი დამოკიდებულება მომავალ მასწავლებელთან პროფესიული მომზადების ბაზაზე. ზოგჯერ თვით უმაღლესი სასწავლებლები არ არის უზრუნველყოფილი სკოლაში მუშაობის გამოცდილების მქონე მეთოდისტთა კადრებით. არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგიური პრაქტიკის საათებს სასწავლო დატვირთვისთვის შესავსებად იყენებენ.

რიგ სკოლებში ორი და ზოგჯერ სამცვლიანი მეცადინეობის გამო მეთოდისტებს, მასწავლებლებსა და პრაქტიკანტებ არ აქვს შესაფერისი ადგილი და გაკვეთიელებს ზოგჯერ კორიდორებში აჯამებენ და აფასებენ. ჯერ კიდევ პრაქტიკის დასაწყისშივე უნდა შედგეს პრაქტიკული სამუშაო გეგმა, რომელიც გაითალისწინებს უმაღლესი და სამუშაო სკოლების შეთანხმებული მუშაობის გზებსა და საშუალებებს.

სკოლის მასწავლებელები, დირექცია, უმაღლესი სკოლის მეთოდისტები, დეკანატები, კათედრები მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით უნდა წარმართავდნენ ამ დიდ პედაგოგიური და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს.

პედაგოიგიური პრაქტიკის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა სასწავლო საგნებში მიღებული ცოდნის სასკილო პრაქტიკაში გამოყენების ჩევების გამომუშავებას. უნდა გვახსოვდეს, რომ პედაგოგიური პრაქტიკა ეს ეფექტური სამჭედლოა, სადაც მომავალი მაწავლებელი ყალიბდება.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს მომავალ მასწავლებელში ყველა პედაგოგიური საქმისადმი ინტერესების განვითარებას, ერთ ნაწილში საინტერესო არ არის. ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან ვამჩნევდით, რომ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სტუდენტი პრაქტიკანტები ძნელად რჩებოდნენ სკოლაში და მოსწავლეებთან დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას უხალისოდ ატარებდნენ.

სდტუდენტთა ერთ ნაწილს ასევე არ იტაცებს წრეობრივი მუშაობა, სკოლის გარეშე დაწესებულებეთან დაკავშირებით და თანამშრომლობა. ზოგიერთ არც მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობის დიდი ხალისი აქვთ, მის სხადასხვა საქმიანობაში ჩართვა არ არის ნებაყოფლობითი საქმე, ის ყველა მომავალი მასწავლებლისათვის აუცილებელი და საჭირო საქმეა. ამიტომ, სკოლის მასწავლებლებმა და უმაღლესი სასწავლებლის მეთოდისტმა უნდა მიაღწიოს იმას, ყველა პრაქტიკანტი ეუფლებოდეს საჭირო უნარსა და ჩვევას, რაც მომავალ მასწავლებელს სჭირდება. აქ საქმე ასარჩევად არ უნდა გვქონდეს.

ISSN 1512-1801

პრაქტიკის პირველი დღიდანვე უნდა ვიზრუნოთ მასწავლებლის პროფესიით მომავალ მაწავლებელთან დაინტერესებისათვის. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გათავისწილება, რომლებსაც თანმიმდევრული და სისტემატიური ხასიათი ექნება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში ყველა ახალგაზრდა ინტერესით არ შემოდის. ზოგიერთისათვის სტუდენტთა გახდომა თვით მიზანი და დიპლომის აღება და არა, რომელიმე პროფესიით დაუფლება. ასეთ კონტიგენტთან სპეციალური მუშაობაა საჭირო, რომ ეს ინტერესი გვიან მაიმც განვითარდეს.

მოწავლეთა შორის მძიმე, ზოგჯერ ძნელად აღსაზრდელი ბავშვები და მოზარდები გამოერევიან ხოლმე. ასეთ კონტიგენტთან მუშაობა მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული. პედაგოგიკურ ლიტერატურაში ეს პრობლემა სათანადოთ არის დამუშავებული და მისი შესწავლა-გათალისწინება პრაქტიკოს დროს აუცილებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ ძნელი ბავშვების ცუდი ჩვევებისგან განთავისუფლება რთულია, მაგრამ შეუძლებელი არ არის და მომავალი მასწავლებელი ასეთი მუშაობისათვის სათანადოთ უნდა ვამზადოთ. პედაგოგიურ პრაქტიკას აქ თავისი მნიშვნელოვანი წილი აქვს.

ამრიგად, მასწავლებლის მომზადების პროპცესში ძალზედ მნიშვნელოვანია სწორად დაგეგმილი ორგანიზებული და წარმართული პედაგოგიური პრაქტიკა.

ლიტერატურა

1. ქურდაძე ი., ნათენაძე მ., პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაცია და განხორციელების გზები, მეთოდური სახელმძღვანელო, 2010.
2. ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ., პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2009.
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თბ., 2008.

Article received: 2011-12-23